

შპს “სტარვიზია“-ს (ს/კ 245584611)
2018 წლის აუდიტორული შეფასების ანგარიში

თბილისი

2019

სარჩევი

1. ორგანიზაციის ბალანსის აუდიტი	3
2. მოგება-ზარალის უწყისის აუდიტი	5
3. ფულადი ნაკადების მოძრაობის აუდიტი	7
4. საწარმოს კაპიტალში ცვლილებების აუდიტი	10

დამოუკიდებელი აუდიტორის ანგარიში

წარმოგიდგინთ შპს სტარვიზიას (შემდგომში „კომპანია“) აუდიტორული შემოწმების ანგარიშს 2018 საანგარიშგებო წლისათვის, განსაზღვრული გეგმის მიხედვით (დანართი №1 - აუდიტორული შემოწმების გეგმა).

1. ორგანიზაციის ბალანსის აუდიტი

შესრულებული სამუშაო

კომპანიის ბალანსის აუდიტი გულისხმობს მცირე და საშუალო საწარმოთა ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებით (მსს ფასს მე-4 განყოფილება „ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება“) დადგენილი ნორმებისა და წესების დაცვის შემოწმებას კომპანიის მიერ საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების (ბალანსის) შედგენის დროს. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახაბი მუხლების ჩამონათვალი განსაზღვრულია მსს ფასს-ის 4.2 პუნქტით „ინფორმაცია, რომელიც უნდა აისახოს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში“.

ქვემოთ მოცემულია კომპანიის ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგება (ბალანსი) 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, რომელიც ეყრდნობა საბუღალტრო პროგრამის მონაცემებს.

შპს "სტარვიზია"

**ანგარიშგება ფინანსური მდგომარეობის შესახებ
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ლარებში)**

	2018	2017
აქტივები		
გრძელვადიანი აქტივები		
ძირითადი საშუალებები	74,222	84,102
გუდვილი		
სხვა არამატერიალური აქტივები	25,051	26,881
ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში		
გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივები	99,273	110,983
მიმდინარე აქტივები		
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	8459.44	12,457
სავაჭრო მოთხოვნები	1044.75	124,761
სხვა მიმდინარე აქტივები	21501.29	21,277

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	20176.16	22,650
	51,182	181,145
სულ აქტივები	150,455	292,128
საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		
სათავო საწარმოს მესაკუთრეებზე მისაკუთვნიებული საკუთარი კაპიტალი		
სააქციო კაპიტალი	1058600	1,063,750
გაუნაწილებელი მოგება	8500	8,500
	-	-855,411
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები	1087654	
	-20,554	216,839
არამაკონტროლებელი წილი		
სულ საკუთარი კაპიტალი	-20,554	216,839
გრძელვადიანი ვალდებულებები		
გრძელვადიანი სესხები		0
გადავადებული გადასახადი		
გრძელვადიანი ანარიცხები		
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	0	0
მოკლევადიანი ვალდებულებები		
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	169,580	48,980
მოკლევადიანი სესხები		
გრძელვადიანი სესხების მიმდინარე წილი		
მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებები	1,430	26,309
მოკლევადიანი ანარიცხები		
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	171,009	75,289
სულ ვალდებულებები	171,009	75,289
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	150,455	292,128

წარმოდგენილი ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშის (ბალანსის) მიხედვით, 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სულ აქტივები 150 455 ლარს შეადგენს, მათ შორის: მოკლევადიანი აქტივები 51 182 ლარი, აქედან: ფულადი სახსრები - 20 176.16 ლარი, მოკლევადიანი მოთხოვნები - 22 546.04 ლარი, სხვა მატერიალური მარაგები - 8 459.44 ლარი.

გრძელვადიანი აქტივები შეადგენს 99 273 ლარს, ძირითადი აქტივები - 74 222 ლარი, ხოლო არამატერიალური აქტივები - 25 051 ლარი.

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სულ ვალდებულებები და კაპიტალი 150 455 ლარს შეადგენს, მათ შორის: მოკლევადიანი ვალდებულებები 171 009 ლარი აქედან, მიმდინარე

